



## საქართველოს მთავრობის დადგენილება

N 64 2022 წლის 8 თებერვალი ქ. თბილისი

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 28/12/2018, 340170000.10.003.020969) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში

განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების“:

### 1. პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 11<sup>2</sup> პუნქტი:

„11<sup>2</sup>. ამ დადგენილების ამოქმედების შემდეგ, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შესაბამის წლებში კონკრეტული დასახლებისთვის გამოყოფილი თანხების აუთვისებლობის შემთხვევაში, ამავე დასახლებაში შესაბამის წელს პროექტის შერჩევა, თანხის გამოყოფა და თანადაფინანსება ხორციელდება ამ წესის შესაბამისად, ამ დასახლებისთვის მიმდინარე წელს გამოყოფილი და აუთვისებელი თანხების ჯამის ფარგლებში.“.

### 2. მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

#### „მუხლი 2. პროექტების ჩამონათვალი

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტებია:

- ა) სასმელი წყლის სისტემები (მათ შორის, ჭაბურღილები, წყალსადენები, სათავე ნაგებობები, გამწმენდი ნაგებობები, ჭა და ა.შ.);
- ბ) სარწყავი სისტემები;
- გ) სანიაღვრე არხები;
- დ) ნაპირსამაგრი სამუშაოები;
- ე) გზები და გზისპირა მოსაცდელელები;
- ვ) ხიდები, ცხაურები, ხიდბოგირები, გადასასვლელები;
- ზ) გარე განათება;
- თ) სკოლების მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა;
- ი) სკოლამდელი დაწესებულებები და შესაბამისი ინვენტარი;
- კ) ამბულატორიის შენობები;

ლ) სასაფლაოების შემოღობვა და კეთილმოწყობა;

მ) სპორტული ინფრასტრუქტურა, მოედნები და მოედნების ინვენტარი;

ნ) სკვერები, მათ შორის, საბავშვო სკვერები, შესაბამისი ინვენტარით, აგრეთვე სარეკრეაციო სივრცეები და სველი წერტილები, შესაბამისი ინვენტარით;

ო) წისქვილების რეაბილიტაცია და შესაბამისი ინვენტარი;

პ) მინიჭესები და შესაბამისი რეაბილიტაცია/აღდგენა.“.

**მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.**

პრემიერ-მინისტრი



ირაკლი ღარიბაშვილი